საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2384 2015 წლის 9 ნოემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სააქციო საზოგადოება „თელასისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირზე №142-ში მდებარე 54.67 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.13.04.017.037.15.500) და ამ განკარგულების დანართში მითითებული მოძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს სს „თელასს“ (ს/კ: №202052580).

2. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა –

სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

4. ამ განკარგულების პირველი, მეორე და მესამე პუნქტები ძალაშია სს „თელასის“ მიერ სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „საქნავთობპროდუქტის“ (ს/კ: №201990701) მიმართ არსებული 87 000 (ოთხმოცდაშვიდი ათასი) ლარის ოდენობით ელექტროენერგიის დავალიანების წერილობით პატიებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი N1			
N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	ძალოვანი ტრანსფორმატორი TM-630/6 (გამოშვების წელი - 1981, ძაბვის ქვეშ)	ცალი	1
2	ძალოვანი ტრანსფორმატორი TM-630/6. (გამოშვების წელი - 1981, სარეზერვო)	ცალი	1
3	სასალტე სისტემა 6 კვ. (ალუმინის 50X5)	მეტრი	24
4	სასალტე სისტემა 6 კვ. (ალუმინის 80X8)	მეტრი	12
5	სასალტე სისტემის გამთიშველი 6 კვ. 400ა.	ცალი	1
6	სასალტე სისტემა 0.4 კვ. (ალუმინის 100X10)	მეტრი	48
7	დამიწების კონტური (ზოლოვანი ფოლადი 30X3)	მეტრი	30
8	დ/ძაბვის უჯრედი (შო-59 გამავალი, 2X250, 2X400ა)	ცალი	4
9	დ/ძაბვის უჯრედი (შო-59 გამავალი, კარკასი)	ცალი	2
10	დ/ძაბვის უჯრედი (შო-59 შემტანი, გამთიშველით 1000ა)	ცალი	1
11	დ/ძაბვის უჯრედი (შო-59 შემტანი, APU-50, 1600ა. ძაბვის ქვეშ არ არის)	ცალი	1
12	დ/ძაბვის უჯრედი (შო-59, სასექციო, 2 გამთიშველით 1000ა)	ცალი	1
13	მ/ძაბვის უჯრედი, 6 კვ. (ქსო-366, გამთიშველით - 400ა. მცველებით)	ცალი	2
14	მ/ძაბვის უჯრედი, 6 კვ. (ქსო-366, სიმძლავრის ამომრთველით 400ა)	ცალი	4
15	მ/ძაბვის უჯრედი, 6 კვ. (ქსო-366, ძაბვის ტრანსფორმატორით)	ცალი	1
16	მ/ძაბვის უჯრედი, 6 კვ. (ქსო-366, ძაბვის ტრანსფორმატორისთვის, აკლია ძაბვის ტრანსფორმატორი)	ცალი	1
17	მ/ძაბვის 6 კვ. კაბელი (მ/ძ ქვესადგური დიდუბე ფ. 54 -ა1195) (АСБ 3X185)	მეტრი	1590